# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 18 ნოემბერი 2006 №268 (2890) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაშია და თამაში იყოს!

დღეს გლდანში თამაშია, მოგებულს სამი კი არა, ექვსი ქულა ჩაეთვლება. გიორგი ჩიხრაძის „ამერი“ გიორგი კიკნაძის „ოლიმპს“ მასპინძლობს, ამათ შორის სხვაობა ოდენ ქულაა და დანარჩენი თავად განსაჯეთ...

კიდევ უფრო გაილაღებენ „ყვითლები“ თუ პირიქით, ლიდერობას გაუცვლიან რუსთაველებს?

ისე, ძალთა თანაფარდობას თუ გავითვალისწინებთ, საკმაო შანსია, ქულები გაიყონ, რაზეც „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯია“ სიამოვნებით მოაწერენ ხელს.

მოკლედ, მაგარი თამაშია გლდანში, ისეთი, წასვლა რომ ნაღდად ღირს.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტურში კიდევ ექვსი მატჩია, მაგრამ „ამერი“ — „ოლიმპის“ ინტრიგა ყველა დანარჩენს აიწონის.

კლაუს ტოპმიოლერის თავკაცობით საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ ოთხი ნაგების შემდეგ ურუგვაი 2:0 დაამარცხა და გუნება-განწყობილება მნიშვნელოვნად გამოიკეთა. ამ მოგებას მწვრთნელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ამბობს, ევროშესარჩევ ჯგუფში სათქმელს კიდევ ვიტყვითო. კლაუს ტოპმიოლერს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...

# ტოპმიოლერმა ტესტი ჩაიბარა

**— ახლა, ცივ გონებაზე როგორ შეაფასებდით ურუგვაისთან მატჩს?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ — ბიჭებმა კარგად ითამაშეს და შედეგიც კარგი მივიღეთ. ეს იყო ტესტ-მატჩი ახალი ფეხბურთელებითა და ცვლილებებით, რამაც ამ ეტაპზე გაამართლა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ ტაქტიკურად გამართულად ვითამაშეთ. ამ მოგებას ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, როცა გუნდს ამდენი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა.

**— დებიუტანტებზე ცალკე გკითხავთ...**

— უმეტესობა 21-წლამდელთა ნაკრების წევრია. ისინი თავიანთ ასაკში გამორჩეულები არიან, მაგრამ ეროვნული გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებთან შედარებით, ბევრი აქვთ სასწავლი. მჯერა, თუ გულმოდგინედ ივარჯიშებენ, მალე მთავარ ნაკრებში დაიმკვიდრებენ ადგილს.

**— დავით სირაძეს მომავალშიც თავდასხმაში ათამაშებთ თუ ნახევარდაცვაში?**

— მიმაჩნია, რომ სირაძე ძალიან კარგი ფორვარდია და მომავალშიც მხოლოდ თავდასხმაში ვათამაშებთ.

**— 4-4-2 თქვენგან სიახლე იყო...**

— მაშინ, როცა ყოველ თამაშზე ამდენი ფეხბურთელი გაკლდება, სტაბილური სქემის შექმნა ძნელია. ჩვენი ტაქტიკა იმაზეა დამოკიდებული, რამდენი და რა ამპლუის ფეხბურთელები გვყავს თამაშისთვის. ამიტომ, ახლა ვერ გეტყვით, რა სქემით ვითამაშებთ, მაგალითად, თურქეთთან ამხანაგურ მატჩში.

**— ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ურუგვაელებმა ძალიან ინერტულად ითამაშეს...**

— არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე გადის და მოგებაზე არ ფიქრობს. უბრალოდ, ურუგვაი არ ელოდა ჩვენგან ასეთ თამაშს, რამაც ისინი დააბნია და გეგმები აურია. ეს მათი მწვრთნელის შეფასებიდანაც ჩანს, რომელმაც განაცხადა, საქართველომ იმაზე გაცილებით კარგად ითამაშა, ვიდრე ველოდითო.

**— ნუკრი რევიშვილის თამაშს როგორ შეაფასებთ?**

— გიორგი ლომაიამ და გრიგოლ ჭანტურიამ ორ-ორი საპასუხისმგებლო თამაში ჩაატარეს ნაკრებში და რევიშვილიც იმსახურებს იმდენივე შანსს, რამდენიც იმ ორმა მიიღო. მინდა ვთქვა, რომ რევიშვილმა წინა მატჩებთან შედარებით საკმაოდ კარგად ითამაშა, თუმცა მეკარე მაინც დიდ პრობლემად რჩება ჩვენთვის.

**— ურუგვაისთან თამაშში ფეხბურთელებს ისეთი დავალებები მიეცით, რაც შოტლანდიისთვის იქნება საჭირო?**

— რა თქმა უნდა. ტესტ-მატჩები სწორედ იმ სიახლეებისა და ტაქტიკის გამოცდას ემსახურება, რომლებიც მომდევნო მნიშვნელოვან მატჩში უნდა გამოვიყენოთ.

**— საქართველოში წლეულს კიდევ ჩამოხვალთ?**

— დეკემბრის დასაწყისში 19-წლამდელთა ნაკრებს მივყვები მალტის ტურნირზე, შემდეგ კი რამდენიმე დღით თბილისშიც ჩამოვალ.

**ნინო სილაგაძე**



# სიკვდილი ორჯერ არ მარცხდება

79 წლისა გარდაიცვალა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთის ლეგენდა ფერენც პუშკაში. მისი ბოლო დღეების თაობაზე რამდენიმე წლის წინაც წერდნენ, მაგრამ დიდმა უნგრელმა მაშინ სენი დაამარცხა, სექტემბერში ალცჰაიმერის ავადმყოფობის დიაგნოზით კლინიკაში მოხვედრილი კი ასაკს და ავადმყოფობას ველარ გაუმკლავდა.

## ფერენც პუშკაში: დიდი სიცოცხლე თამაშივით დამთავრდა



ბუდაპეშტის „კიშპეშტში“, რომელსაც მოგვიანებით „ჰონვედი“ დაარქვეს, ფერენც პუშკაში 1944 წელს მივიდა. მაშინ 17 წლის იყო. უცებვე გამოარჩიეს — აბა, უკვე მომდევნო სეზონში ნაკრებში ისე როგორ გამოიძახებდნენ. კიდევ რამდენიმე წელიც და, 1952-ში ჰელსინკის ოლიმპიადის მოგებისთვის უნგრეთის არმიის მაიორობა მიანიჭეს. მაიორის წოდება ოთხი წლის მერე, ავბედით 56-ში ჩამოართვეს, მეტსახელად კი „მაიორი“ დიდხანს შერჩა.

რამდენიმე წლის წინ პელემ თქვა, დიდი ფეხბურთელობისთვის ერთი-ორჯერ გაბრწყინება საკმარისი არ არის, ბევრი წლის განმავლობაში უნდა თამაშობდე დიდ ფეხბურთსო.

ფერენც პუშკამმა დიდი ფეხბურთი ოც წელიწადზე მეტ ხანს ითამაშა.

მისი ცაცია სწორედ ამდენი ხანი თავზარს სცემდა მეკარეებს და მათ შორის დიდ მეკარეებსაც. ის გახლდათ სული, გონება და სნაიპერი წინა საუკუნის 50-იანი წლების უნგრეთის ნაკრებისა. და რას წარმოადგენდა თავად უნგრეთის ნაკრები იმ დროს? ეგებ, ის არცთუ ძლიერი იყო და ამადაც ჩანდა პუშკაში იმ გუნდის ყველაფრად?

ახალგაზრდა თაობისთვის ერთი ამბავი გავიხსენოთ. იმხანად ინგლისელები თვლიდნენ — სად ჩვენ და სად დანარჩენი მსოფლიოო. ეს ინგლისური მითი სწორედ უნგრელებმა გააქარწყლეს და თანაც „უემბლიზე“.

53-ში გაყოყლოჩინებული უნგრელებისთვის ადგილის მისაჩენად ინგლისმა უნგრეთი მიიწვია და ის მატჩი მსოფლიო ფეხბურთის უდიადეს მატჩთა შორის დღესაც მოიხსენიება. უნგრეთმა 6:3 მოიგო, ორი გოლი პუშკამმა გაიტანა.

იხილეთ მეხუთე გვერდი

თქმაც არ უნდა — ლევან კობიაშვილი აქამდეც იყო თანამედროვე ქართული ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი შემოქმედი. ახლა კი ისტორიაში ისიც ჩაიწერა, რომ განახლებულ „ეროვნულზე“ კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილმა ეროვნულმა ნაკრებმა პირველი მატჩი სწორედ კობიაშვილის დუბლით მოიგო.
ეს მცირე დაკვირვება კი ალბათ ფეხბურთის ისტორიის წიგნების მიღმა დარჩება: კობიაშვილმა, რომელსაც ნაკრების მწვრთნელები მალიმალ უცვლიან პოზიციას, ურუგვაისთან თავის ადგილას ითამაშა. იქ, სადაც, მისივე თქმით, თამაში ყველაზე კარგად მისდის.
საქმეები კარგად მისდის გელზენკირხენის „შალკესაც“, ბუნდესლიგის ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს და ვინ იტყვის, რომ „შალკეს“ ქულებში კობიაშვილის წილი არ ურევია.
ლევან კობიაშვილს გუშინ რომ შევეხმიანეთ, სასაუბრო თემებიც, ცხადია, ეს იყო...




# კობიაშვილს გარე-გარე სიარული მოსწყინდა

— რა თქმა უნდა, ურუგვაისთან წარმატებამ ყველანი გაგვახარა და სამომავლო მატჩებისთვის უფრო ოპტიმისტურად განგვაწყო. თანაც, ერთიორად სასიამოვნოა მოგება მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებმა თითქმის მთლიანად შეცვლილი შემადგენლობით ითამაშა. ვფიქრობ, თამაშის ხარისხით ქომაგიც კმაყოფილი დარჩა, ჩვენ კი ვეცდებით, მომავალში უკეთ ვითამაშოთ.

— არადა, უძლიერესი შემადგენლობის შეკრება მწვრთნელმა ვერა და ვერ მოახერხა...

— ბოლო დროს ამ მხრივ მართლაც დიდი პრობლემები გვაქვს. ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც დისკვალიფიცირებული და მწვრთნელი იძულებულია, ყოველი მომდევნო მატჩის წინ განსხვავებული დავალებები მოგვცეს — ცვლის ტაქტიკას და სათამაშო სტრატეგიას, რაც მისთვისაც ძნელია. ტოპმიოლერი რომ დიდი მწვრთნელია, ვფიქრობ, დამეთანხმებით, ხოლო, როცა საუკეთესო შემადგენლობას შეკრებს, მისი ხელი ჩვენს გუნდს უფრო დაეტყობა. თუმცა ისიც კარგია, რომ ტოპმიოლერს ურუგვაისთან რამდენიმე ახალი ფეხბურთელის გამოძახება დასჭირდა და ეს ფეხბურთელები ასეთ სახელოვან მეტოქესთან ათამაშა. ახლები ასე მეტ გამოცდილებას შეიძენენ, ეროვნულ გუნდში კი კონკურენცია გაიზრდება, რაც ნებისმიერ შემთხვევაში წაადგება ნაკრებს.

— ურუგვაისთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერთან არ გისაუბრია?

— გერმანიაში ერთად წამოვედით, თუმცა დიდხანს არ გვილაპარაკია, ძალიან დაღლილი ვიყავი და ჩამეძინა. ტოპმიოლერი ხშირად მეუბნება, სასურველი შემადგენლობის ვერშეკრება პრობლემებს რომ უქმნის, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე ნაკრებს აშკარა პროგრესს ატყობს და დარწმუნებულია, გაისად უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება. ურუგვაისთან მატჩისას ის რამდენიმე ახალი ფეხბურთელის თამაშმა დააკმაყოფილა და მითხრა, მომავალში მათ აუცილებლად გამოვიძახებო.

— თქვენთან ერთად თვითმფრინავში შენი ურუგვაელი თანაკლუბელები, გუსტავო ვარელა და დარიო როდრიგესი უნდა ყოფილიყვნენ. შენი გოლებით მოგებული თამაშის მერე მათთან სალაპარაკო ბევრი გექნებოდა...

— ამათ ჩემი ყბიდან ამოსვლა აღარ უწერიათ... ახლაც ავტობუსში ერთად ვართ, კოტბუსში სათამაშოდ მივემგზავრებით და მთელი გუნდი ამათზე ვხალისობთ, ვარელას და როდრიგესს სათქმელი არაფერი აქვთ. თვითმფრინავში კი ტოპმიოლერსაც უთხრეს, ვერ წარმოვიდგენდით, საქართველო ასე ძლიერად თუ ითამაშებდაო. მოგებაში დარწმუნებულნი ყოფილან, მაგრამ, რაც მიიღეს, ყველამ ნახა...

— შენი დუბლი მიიღეს...

— ჯერ ხომ ისედაც ვერ გამაქვს გოლები ხშირად და წარმოიდგინეთ, ეროვნულ გუნდში გატანილი ორი გოლით როგორი გახარებული ვიქნები. ეს ყველაფერი კი ჩემმა სათამაშო პოზიციამაც მოიტანა. ათასჯერ მითქვამს, რომ კობიაშვილი ცენტრალური ნახევარმცველის ადგილზე გუნდისთვის უფრო სასარგებლოა, ჩემთვის შუაში თამაში სჯობს და, რაც შემიძლია, ეს ბოლომდე ჩანს. ნაკრებში ამ პოზიციაზე კიდევ ხშირად ვთამაშობ, კლუბში კი ლამის ყოველ შეხვედრაში მიცვლიან ადგილს.

— ბოლო ორი მატჩი „შალკეშიც“ შუაში ითამაშე. „ბაიერნთან“ ჩინებული გოლიც გაიტანე, მაგრამ ითქვა, „შალკეს“ ბევრი ტრავმირებული ჰყავს და ამ ადგილზე კობიაშვილი დროებითაა, მერე ისევ მარცხენა მცველად დააბრუნებენო...

— არა, ასე ალბათ აღარ იქნება. ტრავმირებული მართლაც ბევრი გვყავს, მაგრამ როცა ისინი გამოჯანმრთელდებიან, მაინც შუაში ვითამაშებ. ამის თაობაზე მწვრთნელსაც ვესაუბრე და მან თავადვე მითხრა, შუაში უფრო გვჭირდებიო. ფლანგზე არ ვჩანვარ, შეზღუდული ვარ, რაც, ცოტა არ იყოს, ჩემზე ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს. შუაში გაცილებით თავდაჯერებული ვთამაშობ.

— „შალკეს“ ახალ სპონსორზეც უნდა გკითხო. ერთი ამბავი იყო ატეხილი, კლუბში რუსული ფული რომ ჩაიდო..

— „გაზპრომი“ „შალკეს“ პატრონი კი არა, ახალი სპონსორია. „ვიქტორიას“, ვისი სახელიც აქამდე მაისურებზე გვეწერა, კონტრაქტის ვადა გასდიოდა და, როგორც ვიცი, კლუბს სპონსორობის უამრავი მსურველი გამოუჩნდა. საბოლოოდ კი კონტრაქტი „გაზპრომთან“ გააფორმეს, რითაც „შალკემ“ ძალიან დიდი ფული მიიღო.

**ქობა ინასარიძე**

# ურუგვაი ცხაროზს: ეს ვისთან წავაგეთ...

**როგორც ჩანს,** ურუგვაიში ძალიან ალმაცერად უყურებდნენ საქართველოს — იქაურები ქოქოლას აყრიან თავიანთ ნაკრებს, რეიტინგში 98-ე ადგილზე მყოფ გუნდთან ასე უსულგულოდ როგორ წააგეთო. თითქმის ყველა ურუგვაულ გაზეთში დაიწერა, ოსკარ ტაბარესის ხელმძღვანელობით „სელესტეს“ ასე სუსტად არასოდეს უთამაშიაო.


ოსკარ ტაბარესს მაგრად შეუტიეს

„ლა რეპაბლიკა“: „ნაკრების თამაშში არაფერი არ ვარგოდა, ნახევარდაცვა ყველა მხრიდან გარღვეული იყო. თბილისში წაქცევა პირველ რიგში სწორედ შუა ხაზის უნიათობის ბრალი გახლდათ. რაც „სელესტეს“ ტაბარესი ჩაუდგა სათავეში, ეს მეცხრე მატჩში მეორე მარცი იყო.“

„ფუტბოლი“: „ყველაზე ცუდი, რაც ამ მატჩში ვნახეთ, ურუგვაელთა დუნე ტემპი იყო. არანაირი მონდომება არ შეიმჩნეოდა, ეპიზოდურადაც კი არ გაუბრწყინია თუნდაც ერთ ფეხბურთელს.“

„ელ პაისი“: „სამწუხაროა, რომ წავაგეთ მოკრძალებულ ნაკრებთან, რომლისთვისაც ურუგვაისთან გამარჯვება ისტორიული ფაქტია. საქართველომ თავისი თამაში დაიჭირა, მაგრამ ამაში ჩვენები არიან დამნაშავენი. მეორე ტაიმში ტაბარესის კრებულს ცეცხლი საერთოდ არ ეტყობოდა, იოლად შეეგუვნენ მარცხს. დიეგო ფორლანამდე ბურთი იშვიათად მიდიოდა, რადგან ვერც კანობიომ, ვერც ვარელამ და ვერც კარზანომ ნახევარდაცვაში ვერ ივარგეს. ისინი ბევრს სცოდავდნენ და არც საკუთარ თავზე იღებდნენ თამაშს. ქართველთა შუა ხაზი კი საუკეთესო იყო, განსაკუთრებით ვარელას შალკელმა თანაგუნდელმა ლევან კობიაშვილმა ითამაშა ყოჩაღად“.

**ლუკა თალაქვაძე**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XVIII ტური
კარდიფი 0:1 ქუინზ პარკი
II ლიგა. XVIII ტური
ჩესტერი 1:1 სტოკპორტი

## გერმანია

ბუნდესლიგა. XIII ტური
ბოხუმი 4:3 აინტრახტი
II ბუნდესლიგა. XIII ტური
ბრაუნშვაიგი 1:1 დუისბურგი
კარლ ცაისი 2:1 ფრაიბურგი
ოფენბახი 0:1 კაიზერსლაუტერნი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVI ტური
ზანკტ პაული 1:1 ერფურტი
სამხრეთ რეგიონალლიგა XVII ტური
მიუნხენი (მ) 3:0 ჰესენი
როიტლინგენი 3:1 კარლსრუე (მ)
ზაარბრიუკენი 3:2 შტუტგარტი (მ)
ზიგენი 2:1 კაიზერსლაუტერნი (მ)

## ავსტრია

I დივიზიონი. XVII ტური
ადმირა 0:2 აუსტრია (ლ)
აუსტრია (მ) 1:4 ლინცერი
ლუსტენაუ 1:0 ჰარტბერგი
გრატკორნი 0:0 ლეობენი
კაპფენბერგი 1:0 კერნტენი
შვანენშტადტი 1:0 პარნდორფი

## იტალია

სერია B. XII ტური
ტრიესტინა 2:1 პესკარა
სერია C/A. XII ტური
ივრეა 1:0 ნოვარა

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIV ტური
ვაშაში 0:1 პაკში
ფეჰერვარი 3:2 უიპეშტი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა XV ტური
დინამო 5:2 არსენალი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური
ამიენი 3:0 ტურსი
ბასტია 0:0 გრენობლი
დიჟონი 2:1 ლე ავრი
ლიბურნი 2:1 გენიონი
მონპელიე 1:1 კრეტეი
ნიორი 0:1 გენგამი
რეიმსი 1:2 ისტრი
კაენი 1:0 შატორუ

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIII ტური
ჰერაკლესი 2:0 ბრედა
II დივიზიონი. XVII ტური
დენ ბოსხი 1:0 დორდრეხტი
ეინდჰოვენი 0:2 კამბური
ალმერე 3:2 ოსი
ზვოლე 0:0 აპელდორნი
სიტარდი 0:2 გრააფსხაპი
ჰელმონდი 1:3 იგლსი
მაასტრიხტი 1:3 ემენი
ტელსტარი 5:3 ვოლენდამი
ვეენდამი 1:1 როზენდალი
ვენლო 1:0 ჰაარლემი

## პორტუგალია

სუპერლიგა. X ტური
ბეირა მარი 1:1 სეტუბალი

## პოლონეთი

I ლიგა. XV ტური
კორონა 4:2 გურნიკი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXXI ტური
ბრეი 1:1 სლიგო
დერი 1:0 კორკი
დროჰედა 1:0 უოტერფორდი
ლონგფორდი 0:0 სენტ პატრიკსი
შელბურნი 2:1 ბოჰემიანსი

## რუმინეთი

A დივიზიონი. XVI ტური
ოცელული 1:1 გლორია
ნაციონალი 0:2 არჯეში
უნივერსიტატია 1:0 ფარული

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## I წრე. 12 ტური



გლდანში „ამერის“ სტადიონის ტრიბუნა ოდენ 900 მაყურებელს იტევს, არადა, დღეს ისეთი მატჩია, სულ მცირე, სამ ასეთ ტრიბუნას გაავსებდა — მიმდინარე სეზონში დაუმარცხებელი „ამერი“ უახლოეს მდევარ რუსთავის „ოლიმპს“ მასპინძლობს — ეროვნულ ჩემპიონატში ცამეტდღიანი შესვენება ასეთი ზათქიანი მატჩით დასრულდება. ამ ორივე გუნდზე თუ კლუბზე სასაუბრო ცოტა არ არის, მაგრამ ამჯერად აზრის გამოთქმა „ამერის“ და „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელებს, გიორგი ჩიხრაძეს და გიორგი კიკნაძეს ვთხოვეთ...



# იყოს ფეხბურთი!

### გიორგი ჩიხრაძე

— „ოლიმპი“ ახალშექმნილი გუნდია, თუმც მის ფეხბურთელებს ყველა კარგად იცნობს — მიგაჩნიათ, რომ მეტოქე კარგად გყავთ შესწავლილი?

— როგორც ჩვენ, ასევე მეტოქეც, ვცდილობთ, კარგად შევისწავლოთ ერთმანეთი. თანამედროვე პირობებში ძნელია, რალაც-რალაცების დამალვა. როგორც ჩვენ ვიცნობთ „ოლიმპის“ ფეხბურთელების შესაძლებლობებს, ასევე იცნობენ ოლიმპელები ჩვენს ფეხბურთელებს. რაც შეეხება გუნდურ თამაშს, პირველი წრის ბოლოსწინა ტურია, ასე რომ, საკმარისი დრო იყო მეტოქეთა შესასწავლად.

— შესწავლა ერთია და, მეტოქისთვის უსიამოვნო სიურპრიზის მოწყობა მეორე — მეათე ტურში დუშან უჰრინის „დინამომ“ ისეთი პრესინგი შესთავაზა „ოლიმპს“, მოწინაალმდეგე, ფაქტობრივად, ხაფანგში მოაქცია და გაიმარჯვა კიდეც — არის თქვენს განკარგულებაში მსგავსი სიურპრიზი „ოლიმპისთვის“?

— ამ მატჩის ფირი ვნახე. „დინამოს“ პრესინგის მიუხედავად, პირველ ტაიმში „ოლიმპმა“ მაინც მოახერხა რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა. მეორე ტაიმში კი „ოლიმპს“ მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი ჰქონდა და რომ გამოეყენებინა, ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა მატჩი. თუმც „დინამოს“ არჩეული ტაქტიკა სწორი გამოდგა — „დინამომ“ თავისი შანსი გამოიყენა. ჩვენ „ოლიმპს“ განსაკუთრებულ სიურპრიზს არ შევთავაზებთ, თუმცა ჩვენი ხერხებით ვეცდებით წარმატების მიღწევას. ვფიქრობ, ასეთ პრინციპულ შეხვედრაში გადამწყვეტი უფრო ფეხბურთელთა მონდომება და ბრძოლისუნარიანობა იქნება.

— ასეთ პრინციპულ შეხვედრებში ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვის უფრო ძლიერი ნერვები აღმოაჩნდება — მსაჯთან კამათისთვის ან მეტოქე ფეხბურთელთან შელაპარაკებისთვის გაძევებამ შესაძლოა, ბევრი რამ განაპირობოს...

— ამ საკითხზე მუშაობა ახლა არ დაგვიწყია — თუ სტატისტიკას გადავხედავთ, კარგად ჩანს, რომ საკმაოდ ძნელ თამაშებში მოვახერხეთ ნერვების მოთოკვა. რა თქმა უნდა, ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ შეიცვლება.

— „ოლიმპის“ კოზირი ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობაა, „ამერის“ კი გუნდურობა — ეთანხმებით ამ შეხედულებას?

— „ოლიმპს“ მართლაც ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები, თუმც ამ გუნდის სიძლიერეს მხოლოდ ეს არ განაპირობებს — „ოლიმპი“ ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია. ერთი სიტყვით, არა მგონია, ამ კომპონენტებში „ოლიმპს“ და „ამერს“ ერთმანეთზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდეთ. გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელები — ამ შემთხვევაშიც ამ გუნდებს შორის დაახლოებით თანაბარი ბალანსია.

— „ამერს“ შეცვლაზე გამოჰყავს დიმიტრი ტატანაშვილი, ვინც მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია — ეს თქვენი სტრატეგიული ხერხია?

— არა, ამას განგებ არ ვაკეთებთ და ტატანაშვილს მხოლოდ შეცვლაზე შესაყვან ფეხბურთელად არ მივიჩნევთ, თუმც ის მართლაც ეფექტურად შედის შეცვლაზე. ტატანაშვილს ტრავმიანობის გამო საკმაო დრო გაუცდა და ჯერ მზად არ არის, რათა მთელი მატჩი სრულფასოვნად ითამაშოს. ამის მიუხედავად, მისი პროგრესი აშკარაა.

— „ოლიმპთან“ შინ თამაში გარკვეულ უპირატესობას გაძლევთ...

— შინ სათამაშოდ რომ ხარ განწყობილი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ამერის“ სტადიონს დიდი ტევადობა არ გააჩნია, მაგრამ მაინც მხურვალე მხარდაჭერა გვაქვს გულშემატკივრისგან. თანაც ტრიბუნა მოედანთან ახლოსაა და ესეც დადებით გავლენას ახდენს. მოკლედ, შინ რომ ვთამაშობთ, ცხადია, ხელს გვაძლევს და ვეცდებით, ეს ფაქტორი გამოვიყენოთ.

— „ოლიმპის“ წამყვანი ფეხბურთელები ძალიან კარგად თამაშობენ ფლანგებზე — კახელიშვილი, დვალიშვილი, აფციაური, სეთურიძე, გეწაძე — მთავარ საფრთხეს ალბათ მათგან ელით...

— ვითვალისწინებთ იმას, რომ „ოლიმპის“ ძლიერი მხარე ფლანგური შეტევებია, თანაც „ოლიმპის“ ფეხბურთელები ხშირად უცვლიან ერთმანეთს პოზიციებს, მაგრამ ჩვენ ამ ყველაფრისთვის მზად ვართ.

### გიორგი კიკნაძე

— „ამერთან“ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით, თამაშის წინა დღეს შეკრებაზეც გადავედით.

— მეტოქეზე რას იტყოდით?

— მიმდინარე ჩემპიონატში „ამერი“ ყველაზე სერიოზული მეტოქეა. ამ სეზონში „ამერთან“ ჯერ არ გვითამაშია და ამის გამოც ყველანი დიდი ინტერესით ველით ამ მატჩს. მთავარია, ფეხბურთი იყოს.

— რას გულისხმობთ, მსაჯობას?

— ამ ბოლო დროს სულ სხვა სპორტს გვათამაშებენ — „ჩიხურასთან“ თასზე სტუმრად რომ ვითამაშეთ, იმ მოედანს ვგულისხმობ. „ამერს“ კი კარგი მოედანი აქვს და ალბათ მსაჯობაც ობიექტური იქნება. თუ ფეხბურთის თამაშის საშუალებას მოგვცემენ, მაყურებელი კარგ თამაშს ნახავს.

— „ამერი“ უფრო შეკრული და ორგანიზებული გუნდია და ეს „ოლიმპთან“ მატჩში უპირატესობას აძლევს — ეთანხმებით ამ აზრს?

— „ამერი“ ჩვენზე უფრო ჩამოყალიბებული კლუბია, „ამერში“ კარგ საქმეს აკეთებენ და ეს მისასალმებელია, მაგრამ, რაც შეეხება გუნდს, ამ მომენტისთვის ჩვენზე უფრო შეკრული არ არის — ამაში დარწმუნებული ვარ.

— როგორ შეაფასებდით „ამერის“ და „ოლიმპის“ ძლიერ და სუსტ მხარეებს?

— პლუს-მინუსები ორივე გუნდშია და ვინ რას როგორ გამოიყენებს, ამას თამაში გვიჩვენებს.

— ყველანი ჯანზე გყავთ?

— ირაკლი სირბილაძე ისევ ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს.

— დისკვალიფიცირებული გოჩა ხოჯავას ამნისტირებას კლუბი არ აპირებს?

— ამ დროისთვის ამ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით ვართ დაკავებულნი. ხოჯავა კი ჯერჯერობით ჩვენთან ვარჯიშობს.

— „ამერთან“ სტუმრად თამაშობთ და ფრესაც მისაღებ შედეგად ჩათვლით?

— ფრით კმაყოფილი არასდროს ვარ, ახლაც სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ. საქართველოში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, შინ თამაშობ თუ სტუმრად, მთავარი მოედნის საფარია — ჩვენ არ ვჭიდაობთ, ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ.

ბორჯომი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ბათუმი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; მ. ურუშაძე, გ. დოგრაშვილი; ა. კრიჭაშვილი

თბილისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული

**დინამო — ჩიხურა**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; ო. ხეცაძე

გორი. 18 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. მაისურაძე; ნ. რუსიშვილი, კ. ბერაძე; პ. დოგრაშვილი

თბილისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ამერი

**ამერი — ოლიმპი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ვ. გუმბერიძე

ქუთაისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო

**ტორპედო — მერანი**

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე, ი. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი

ბოლნისი. 18 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ლოკომოტივი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ი. უკლება; კ. ჭაჭუა

თელავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ხუციშვილი, ო. მოლოდინაშვილი; ზვ. ასკაროლლი

ტურის სხვა მატჩებიდან „დინამო“ — „ჩიხურას“ შეხვედრას გამოვარჩევდით. თქმა არ უნდა, ფავორიტი „დინამოა“, მაგრამ არც „ჩიხურაა“ ისეთი ბეჩავი, დუშან უჰრინის გუნდს გასეირნების საშუალება მისცეს.

დღეს ან „ამერი“ დაკარგავს ქულებს, ან „ოლიმპი“, ან ორივე ერთად და მდევრები მათთან მიახლოებას შეეცდებიან. საამისო შანსი „დინამოს“ გარდა „ზესტაფონს“ და „ვიტ ჯორჯიას“ აქვთ, რომელთაც, შესაბამისად, „კახეთის“ და „დილას“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 11 | 9 | 2 | 0 | 23:2 | 29 |
| ოლიმპი | 11 | 9 | 1 | 1 | 29:3 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 3 | 1 | 20:13 | 24 |
| ზესტაფონი | 11 | 7 | 3 | 1 | 16:3 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 0 | 4 | 18:9 | 21 |
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 13:6 | 21 |
| სიონი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:10 | 17 |
| ბორჯომი | 11 | 3 | 2 | 6 | 15:21 | 11 |
| ლოკომოტივი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:16 | 11 |
| მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:20 | 11 |
| ჩიხურა | 11 | 2 | 3 | 6 | 8:18 | 9 |
| ბათუმი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:11 | 8 |
| დილა | 11 | 0 | 2 | 9 | 5:31 | 2 |
| კახეთი | 11 | 0 | 1 | 10 | 9:34 | 1 |



# შეთითხნილი თუ ნამდვილი?
## ირაკლი თოთლაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს!

საქართველოს ჩემპიონატში მოძალებული სკანდალები და გუნდური დაკა-დაკა ახალი ამბავი არ არის, მაგრამ, რაც გუშინ შევიტყვეთ, სულ სხვაა — „ბათუმის" 21 წლის მეკარე ირაკლი თოთლაძე დააკავეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს...
რაც შევიტყვეთ, დაკავების მიზეზი ასეთია: ქუჩაში ჩხუბი ამტყდარა, თოთლაძეს ამ დროს მანქანით გაუვლია და მოჩხუბართა გაშველება უცდია, მაგრამ დაზარალებული მხარე ჩივის, ისიც გვირტყამდაო...



გუშინ დავუკავშირდით „ბათუმის" მთავარ მწვრთნელ *ამირან გოგიტიძეს*, რომელიც ამ ფაქტით აღშფოთებულია...

— ეს ამბავი 2 ოქტომბერს მოხდა და მეორე დღეს უკვე ვიცოდი. რა უნდა ვთქვა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ. ირაკლი წყნარი და პატიოსანი ადამიანია, მისი ხულიგნობა წარმოუდგენელია. დარწმუნებული ვარ, იგი ამ საქმეში მართალია.

— კლუბი რას აპირებს?

— ირაკლის დაკავებას არ შევეგუებით. კლუბი მას მხარში დაუდგება და შევეცდებით, სიმართლე გაირკვეს. ხვალ ჩემპიონატის თამაში გვაქვს ბორჯომში და ვითარების გასარკვევად დრო აღარ გვრჩებოდა.

**ილია ნანობაშვილი**

# დიდი ათიანის ორი ხუთიანი



**დიდ** ფეხბურთელებს ხალხის გულსა და გონებაში ჩაბეჭდვა სჩვევიათ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ...

როგორ გითხრათ... გვერწმუნეთ, პროვინციულ ქართულ სიამაყეს არ დავუბრმავებივართ, მაგრამ ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ დამთავრდა, ითქვა, არგენტინა იმიტომ ველარ იგებს, რომ მთელი ქვეყანა ისევ მარადონას ძიებაშიაო და... ყიფიანი გაგვახსენდა. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოშიც ასე იყო. მაშინ დათო ყიფიანმა თამაშს თავი დაანება და ყველა ახალი ყიფიანის ძებნით იყო შეპყრობილი. სტადიონის ტრიბუნაზე თუ უბნებში მომავალ „დინამოზე" ლაპარაკს ათი ნომრით იწყებდნენ. ხან ვის ვარაუდობდნენ ახალ ყიფიანად და ხან ვის...

ცხოვრება კი მრავალფეროვანია. მრავალფეროვანია ფეხბურთიც. თამაში ასეც შეიძლება და ისეც, უბრალოდ, დროზე უნდა მიხვდე ამას. აი, ახალი ყიფიანის პოვნა კი ნამდვილად არ შეიძლება. ის უკვე იყო.

ის უკვე იყო — დღეს დავით ყიფიანი 55 წლისა გახდებოდა. ამ თარიღს კაფე „მსოფლიო სპორტში" აღნიშნავენ.

# გიორგი ქინქლაძე თბილისში ვიზის გამოც ვერ ჩამოვიდა



ვერა და ვერ აეწყო საქმეები მიმდინარე სეზონში გიორგი ქინქლაძეს — ჯერ ნეკნი დაუშავდა, მერე საზარდული ასტკივდა და ჯერაც ვერ მოირჩინა ბოლომდე.
წლევანდელ რუსულ პრემიერლიგაში ყაზანის „რუბინში" გიორგიმ სულ ოთხჯერ ითამაშა. რუსეთის ჩემპიონატის დასრულებას ორი ტური უკლია და გადაწყვეტილია, რომ ქინქლაძე ვერც ამ მატჩებში ითამაშებს...

— საზარდული კიდევ ვერ მოვირჩინე. გუნდთან ერთად ვერ ვვარჯიშობ, მხოლოდ ინდივიდუალურად, მსუბუქად ვიტვირთები.

— მაინც რისი ბრალია, ტრავმა ასე რომ გაგიმიზეზდა?

— ან ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, ან გარკვეულ დროში თავისით უნდა მორჩენილიყო ტრავმა. ოპერაციაზე უარი ვთქვი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჯერაც ვერ გამოვჯანმრთელდი.

— „რუბინთან" კონტრაქტი გიმთავრდება — შემოთავაზებები ჯერ არ გაქვს?

— ჯერ არა. როგორც კი რუსეთში სეზონი დასრულდება, თბილისში ჩამოვალ და მერე ვნახოთ...

— გავიგეთ, კლაუს ტოპმიოლერი ურუგვაისთანაც აპირებდა შენ გამოძახებას...

— ასეა, მაგრამ რუსეთში სამუშაო ვიზა დამიმთავრდა და თბილისში ამის გამოც ვერ ჩამოვედი. ახალ სამუშაო ვიზას ახალი კონტრაქტი უნდა.

**დავით თავართქილაძე**



ურუგვაისთან ამხანაგური შეხვედრისთვის ჯაბა კანკავა თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ თამაში ველარ შეძლო — უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდა. ჯაბამ ტრავმა სანაკრებო შეხვედრამდე სამი დღით ადრე, „ილიჩევეცთან" მატჩში მიიღო. ექიმები ბოლო წამამდე იმედოვნებდნენ, რომ ჯაბა ურუგვაისთან თამაშს შეძლებდა, მაგრამ...

# არ მინდა გარისკვა
## კანკავა ტკივილს და დნიპროს ადასტურებს

— მუხლი ახლაც მტკივა და ვერ ვვარჯიშობ. რამდენიმე დღეში ხელმეორედ უნდა ჩამიტარდეს გამოკვლევა და ზუსტი პასუხი მაშინ მეცოდინება.

— კონკრეტულად არ იცი, რამდენ ხანს ვერ ითამაშებ?

— პირველი წრის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, კიდევ ერთი თამაში კი გადადებული გვაქვს. ექიმები მაიმედებენ, ბოლო შეხვედრებისთვის მზად ვიქნებიო, თუმცა მეეჭვება, ასე მოხდეს. ასეთივე ტრავმა ადრეც მქონდა და არ მინდა, გავრისკო. მირჩევნია, პირველი წრის ბოლომდე არ ვითამაშო და ბოლომდე გამოვმჯანმრთელდე.

— პირველი წრის შემდეგ „დნიპროში" უნდა გადასულიყავი, გუშინ კი უკრაინულმა კლუბმა ეს ინფორმაცია უარყო...

— ოფიციალური კონტრაქტი გაფორმებული არ არის. „დნიპროსთან" წინასწარი შეთანხმება მაქვს და მეორე წრეს ამ გუნდში დავიწყებ.

— ურუგვაისთან ვერ ითამაშე, თუმცა ნაკრებთან ერთად იყავი. რას იტყვი ამ მატჩზე?

— ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს, ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. თითქმის მთელი გუნდი გვაკლდა და რამდენიმე ახალი ფეხბურთელით ვითამაშეთ, თუმც მათ მშვენივრად შეცვალეს წამყვანი მოთამაშეები. მართალია, თითქმის მთელი გუნდის შეცვლა ძნელია, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერმა სწორი ტაქტიკით იოლად დაძლია ეს პრობლემა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შოტლანდიას საქართველო ურუგვაით მოელანდა

**საქართველოს** ნაკრების მიმავალი მეტოქე ევრო 2008 წლის შესარჩევ ჯგუფში შოტლანდიაა. ოთხშაბათს სქოთების გარდა თითქმის ყველა ჩვენმა თანაჯგუფელმა ითამაშა და საკმაოდ წარმატებითაც. სწორედ ეს ამბავი აშფოთებს შოტლანდიელებს...

„მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში საკმაოდ კარგი მდგომარეობა გვაქვს, თავს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ. ოთხშაბათს გამართულმა ამხანაგურმა შეხვედრებმა გვაჩვენა, რომ ჩვენი მეტოქეები თანდათან შედიან ფორმაში — იტალიის გარდა ყველამ მოიგო. იტალიელებმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს და თურქებს დაუზავდნენ, ფრანგებმა ბერძნებს 1:0 მოუგეს. ლიტვამ სტუმრად მალტას 4:1 სძლია. ჩვენმა მომავალმა მეტოქე საქართველომ კი ლიდერ შოთა არველაძის გარეშე 2:0 მოუგო ურუგვაის ძლიერ გუნდს" — წერს შოტლანდიური პრესა.

შოტლანდიამდე დიდი დროა, თუმცა ჩანს, სქოთები აქედანვე ფრთხილობენ და ქართველებს სუსტ მეტოქედ სულაც არ მიიჩნევენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ეჭვიმიტანილზე ეჭვი შვეიცარიამ მიიტანა



**ახლახან** შვეიცარიაში დააკავეს დავით ასათიანი, ვინც საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძის ძმის, ლევანის გატაცება-მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

ასათიანი შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა დააკავეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით საქართველოს გადმოსცეს.

შეგახსენებთ, რომ ლევან კალაძის გატაცება-მკვლელობაში ეჭვმიტანილი კიდევ სამი პირი — მერაბ ამისულაშვილი, ლევან ცინცაძე და თემურ გაგნიძე — თებერვალში დააკავეს.

**კახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სიცოცხლეც თამაშივით მთავრდება



შოკიდან გამოსული ინგლისელები მომდევნო წელს ბუდაპეშტს ეწვივნენ და სირცხვილის ჩამორეცხვას შეეცადნენ. ჯობდა, არც ეცადათ — „ნეპშტადიონზე“ უნგრელებმა უკვე 7:1 მოიგეს და იქაც ორი გოლი პუშკაშისა იყო.

შეგვიძლია გავიხსენოთ 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც, შვეიცარიაში, სადაც უნგრეთი უპირობო ფავორიტად ჩავიდა და ბევრის აზრით, ინგლისელი მსაჯის არტურ ელისის გამოისობით დამარცხებულ ფინალისტად დარჩა. დასავლეთ გერმანიასთან ფინალში პუშკაში ტრავმით გავიდა და პირველი გოლიც გაიტანა. მერე ზოლტან ციბორმა შეაგდო მეორე. მერე კი რაღაც მოხდა და გერმანელებმა სამით უპასუხეს. ამის მერე იყო, ელისმა პუშკაშის გოლი დღემდე აუხსნელი მიზეზით რომ არ ჩათვალა, თორემ ვინ იცის...

ისიც ვინ იცის, რა და როგორ იქნებოდა, 56-ში საბჭოთა ჯარი რომ არ შესულიყო ბუდაპეშტში. იმ დროს პუშკაშის „ჰონვედი“ უცხოურ ტურნეზე იმყოფებოდა, საბჭოური აგრესიის გამო კი ჩემპიონატის დაწყებას საშველი არ დაადგა. ჰოდა, მთელი მსოფლიოს აგენტები დაირაზმნენ პუშკაშის, გროშიჩის, ბოჟიკის, კოშიჩის, ციბორის, ლორანტის გადასაბირებლად. საბოლოოდ, პუშკაში, კოშიჩი და ციბორი ესპანეთში დარჩნენ და უნგრული პოლიტბიუროს უმკაცრეს მოთხოვნას, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, არ დაემორჩილენ. უნგრელმა კომუნისტებმა იმასღა მიაღწიეს, რომ მათ, პირველ რიგში კი პუშკაშს, ფიფასგან ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიეღოთ. კომუნისტურ უნგრეთში კი პუშკაში, რაღა თქმა უნდა, ერის მოღალატედ გამოაცხადეს. და განა მარტო უნგრეთში?! საბჭოთა კავშირშიც კი მისი გვარის ხსენებაც იკრძალებოდა.

პუშკაში 30 წლის იყო და ორი წლის უქმობამ 15 კილოგრამით გაასუქა. მერე კი „რეალმა“, იმ დროსაც „გალაქტიკოსთა“ შემკრებმა, პუშკაში თავისთან მიიწვია. სულ ცოტა ხანში კი 15 კილოგრამიც უკვალოდ გაქრა და არგენტინელი ვარსკვლავი ექტორ რიალიც „რეალის“ ძირითადი შემადგენლობიდან — ის პუშკაშმა ამოაგდო.

ზემოთ „უემბლიზე“ გამართული ისტორიული მატჩი ვახსენეთ და ერთზეც ვთქვათ: 1960 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში, რომელიც რამდენიმე წლის წინანდელ გამოკითხვაში ფინალებიდან ყველაზე თვალწარმტაცად აღიარეს, „რეალმა“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ 7:3 მოუგო, ოთხი გოლი კი პუშკაშმა გაიტანა.

და ერთხელაც ვახსენოთ პელევის უფრო მეტი გოლი აქვს გატანილი, ფეხბურთის მეფეს თუ ფერენც პუშკაშს? სტატისტიკოსთა გამოთვლით, პუშკაშმა დაახლოებით 1300 მატჩში დაახლოებით 1200 გაიტანა. ზუსტი რიცხვი, სამწუხაროდ, უცნობია. ის კი დაზუსტებით ვიცით, რომ საჩემპიონატო მატჩებში პუშკაში მეოცე საუკუნის მთავარმეგოლეა — 512 გოლი უნგრეთის და ესპანეთის ჩემპიონატებში.

**გიორგი დარჯანია**

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | : | რასინგი |
| სევილია | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ესპანიოლი | : | ბილბაო |
| სოსიედადი | : | ბეტისი |
| ლევანტე | : | ატლეტიკო |
| ვილიარეალი | : | ხეტაფე |
| მალიორკა | : | ბარსელონა |
| სარაგოსა | : | ხიმნასტიკი |
| დეპორტივო | : | სელტა |
| უელვა | : | ოსასუნა |

## ესპანეთი

# ესპანეთის სატახტოში თავმოყვარე ხალხია

## მადრიდი ძველ სახელს ითხოვს



ამბობენ, „რეალი“ „რასინგს“ გადაურბენსო

**მადრიდის** „რეალმა“ წინა ტურში სტუმრად „ოსასუნა“ 4:1 კი დაასამარა, მაგრამ შინაური ინჩადის საბოლოო გახარებას სამეფო თეთრები დღეს „რასინგის“ ამოყირავებით ეცდებიან. მოგახსენებთ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს“ თავმოყვარეობა ორი კვირის წინ ესპანეთის სატახტოში ჯიქურ მივარდნილმა „სელტამ“ შელახა — ვიგოელებმა მაშინ კაპელოს „რეალს“ ბღლვირი ადინეს და 3:1 დაამარცხეს. ამიტომაც დღეს „სამეფო კლუბი“ მოგებას და გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას განსაკუთრებით მოინდომებს. მიგელ ანხელ პორტუგალის „რასინგი“ ჯაბანი სულაც არ გახლავთ. სანტანდერელებმა ბოლო ორ შეხვედრაში „ვალენსიას“ მოუგეს და „სევილიასთან“ ფრე გაახერხეს. „რასინგს“ დაშავებული ბრაზილიელი ნახევარმცველი ფელიპე მელო არ ეყოლება, რომლის მაგივრად „ბერნაბეუზე“ ოსკარ სერანო ითამაშებს.

„რამონ სანჩეს პისხუანზე“ „სევილია“ „ვალენსიას“ უმასპინძლებს და ტურის ცენტრალური თამაშიც ესაა. „ღამურების“ ვისენტემ და ედუმ ტრავმები მოირჩინეს და ანდალუზიელებთან ბურთაობას მოახერხებენ.

საშინელ დღეში ჩავარდნილი „სოსიედადი“ სატურნირო ცხრილში ერთ-ერთ ახლო მეზობელს, „ბეტისს“ ეთამაშება. „სოსიედადი“ მთელს პრიმერა, სეგუნდა და სეგუნდა B დივიზიონებში ერთადერთი გუნდია, ამ სეზონში გამარჯვების გემო რომ არ გაუგია. ლოტინას ბიჭებს შინაურ „ანოეტაზე“ სავარაუდოდ, ტრავმირებული აიტორ ლოპეს რეკარტე და მორტენ სკოუბო ვერ დაეხმარებიან. „ანოეტას“ სტუმარ-მასპინძელი სეგუნდას უფსკრულშია ჩაკიდებული და მათ შორის ომი უშელავათო იქნება.

„ლევანტეს“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ საკვირაო ომში ალექსისი და ალვარო გამოაკლდებიან. „ატლეტიკო“ ცხრილში მეშვიდეა და საევროტურნირო პოზიციებამდე ქულა აშორებს.

„ვილიარეალი“ ბერნდ შუსტერის „ხეტაფეს“ სავარაუდოდ, გონსალო როდრიგესის გარეშე დაუხვდება. „ყვითლების“ არგენტინელ მცველს მუხლი აქვს ნატკენი.

პრიმერადივიზიონის მეოთხეადგილოსანი „სარაგოსა“ „ხიმნასტიკთან“ „ლა რომარედაზე“ ფრიად შეფერთხილი ითამაშებს. გაბი მილიტო, კარლოს დიოგო და ანდრეს დალესანდრო დისკვალიფიცირებულები არიან, ხოლო ალბერტ სელადესს და კუარტეროს ტრავმები აწუხებთ.

„ოსასუნა“ ხვალ „ნუევო კოლომბინოზე“ ლუდოვიკ დელპორტეს ვერ ჩაიყვანს, ფრანგი ნახევარმცველი ტრავმირებულია და „უელვასთან“ ვერ იომებს. მის მაგივრად ექტორ ფონტი იქნება. კორალესს ყვითელი ბარათები დაუგროვდა და უელვაში ნაჩო მონრეალს მოუწევს ბურთაობა.

ფრეებზე შეყვარებული „ესპანიოლი“ (ვალვერდეს გუნდს პრიმერაში ზედიზედ 6 ფრე დაუგროვდა) ცხრილში მასზე ერთი ქულით ჩამორჩენილ „ბილბაოს“ მიიღებს. ბასკებს ტრავმამორჩენილი ლუის პრიეტო და მეკარე დანი არანსუბია დაუბრუნდათ, თუმცა ანდონი ირაოლა, ფერნანდო ამორებიეტა, რობერტო მარტინეს „ტიკო“ და ხოსება გარმენდია კვლავაც ლაზარეთში არიან.

„მალიორკა“ „ბარსელონას“ შეერკინება და ეცდება, გასულ ტურში „ხეტაფესთან“ მარცხი ჩემპიონატის ლიდერთან კარგი ბურთაობით დაივიწყოს. კუნძულელებს „ბარსასთან“ სანქციამოხდილი იანკოვიჩი შეუერთდებათ, ხოლო ფერნანდო ნავარო თავისი ძველი გუნდის წინააღმდეგ იბურთავებს. ფრანკ რაიკარდის კატალონიური გრანდი კი „ონო ესტადიზე“ ტრავმებით და ჯარიმებით შეწუხებული ჩადის. მესი, სავიოლა, ედმილსონი და ჩავი დაშავებულები არიან, ხოლო მოტა სანქცირებული გახლავთ.

ყველაზე ბოლოს ესპანეთში გალისიური დერბი გაიმართება. ერთმანეთთან ძალებს მეზობლები და მოსისხლე მტრები, „დეპორტივო“ და „სელტა“ მოსინჯავენ. გალისიელები წინა ტურში გაწბილდნენ, „დეპორმა“ „ხიმნასტიკს“ ოდენ ქულა აართვა, ხოლო „სელტა“ სულაც დამარცხდა „უელვასთან“. სტუმართა ბორხა და ირინეი სანტოსი მუხლს იტკიებენ, მაგრამ ექიმთა განცხადებით, ორივე ვიგოელი „რიასორზე“ თამაშს შეძლებს.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | | 3:1 | | 1:1 | | | 3:0 | | | | | | | | 3:0 | | | |
| 2 | სევილია | | | | | 1:0 | | | | | | | | 4:0 | | | | 2:0 | 3:2 | 2:1 | |
| 3 | რეალი | 2:0 | | | | | | 1:1 | | | 0:0 | | 1:2 | | | | | | | | 2:0 |
| 4 | სარაგოსა | | | | | 3:1 | | | | | | 2:0 | | 2:2 | | 3:0 | | | 2:1 | | |
| 5 | ხეტაფე | | | 1:0 | | | | | 2:0 | | | 1:0 | | | 1:0 | | 0:0 | | | | |
| 6 | ვალენსია | | | | | 2:0 | | | | | | | | | | | 1:1 | 1:0 | 2:1 | 4:0 | |
| 7 | ატლეტიკო | | 2:1 | | 0:1 | | 0:1 | | | 2:1 | 3:1 | | | | | | | | | | |
| 8 | დეპორტივო | 1:1 | | | 3:2 | | | 1:0 | | | 2:0 | | | | | | | | | | 2:0 |
| 9 | უელვა | | | | | 1:2 | | | | | | 1:1 | | 0:1 | | | | | 2:0 | 2:1 | |
| 10 | ვილიარეალი | | | | 3:2 | | | | | 0:1 | | | | 1:1 | | 0:0 | | | 3:2 | | |
| 11 | მალიორკა | | | | | | | 0:0 | 0:0 | | 1:2 | | | | | 1:0 | | | | | 0:0 |
| 12 | სელტა | 2:3 | 1:2 | | | | 3:2 | | | 1:2 | | | | | | | | 0:2 | | | |
| 13 | ლევანტე | | | 1:4 | | | | | 2:0 | | | 0:1 | | | | 0:0 | | | | | 2:0 |
| 14 | რასინგი | 0:3 | 0:0 | | | | 1:0 | 0:1 | | | | | 1:1 | | | | | | | | |
| 15 | ესპანიოლი | | | | | | 1:1 | | | | | | 2:1 | | 2:2 | | | 0:0 | | 0:1 | |
| 16 | ბილბაო | 1:3 | | | | | | 1:4 | | | | | 0:1 | | 0:0 | | | | | | 1:1 |
| 17 | ოსასუნა | | | 1:4 | | 0:2 | | | | | | | | | 0:1 | | 1:1 | | | 2:0 | |
| 18 | ბეტისი | | | 0:1 | | | | | 1:1 | | | 0:1 | | 2:1 | | | 3:0 | | | | |
| 19 | ხიმნასტიკი | | | 1:3 | | | | | 0:0 | | | | 1:2 | | 2:2 | | 2:3 | | | | |
| 20 | სოსიედადი | | 1:3 | | 1:3 | | | | | 2:3 | 0:1 | | | | | 1:1 | | | | | |

| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 10 | 7 | 2 | 1 | 23:9 | 23 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 19:10 | 22 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 3 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:7 | 20 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 12 |
| 4 | 10 | 6 | 1 | 3 | 21:14 | 19 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 | 2 | 0 | 3 | 9:10 | 6 |
| 5 | 10 | 6 | 1 | 3 | 10:7 | 19 | 4 | 1 | 0 | 5:0 | 13 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| 6 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| 7 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:8 | 17 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| 8 | 10 | 4 | 4 | 2 | 10:8 | 16 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 | 0 | 3 | 2 | 1:5 | 3 |
| 9 | 10 | 5 | 1 | 4 | 13:13 | 16 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 | 3 | 0 | 2 | 7:8 | 9 |
| 10 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:12 | 15 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| 11 | 10 | 3 | 4 | 3 | 5:6 | 13 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| 12 | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | 13 | 1 | 0 | 4 | 7:11 | 3 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| 13 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:14 | 12 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 | 1 | 2 | 2 | 5:9 | 5 |
| 14 | 10 | 2 | 5 | 3 | 7:10 | 11 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| 15 | 10 | 1 | 6 | 3 | 6:10 | 9 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 | 0 | 3 | 2 | 1:5 | 3 |
| 16 | 10 | 1 | 5 | 4 | 8:16 | 8 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 | 1 | 3 | 1 | 5:7 | 6 |
| 17 | 10 | 2 | 2 | 6 | 6:14 | 8 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| 18 | 10 | 2 | 1 | 7 | 12:16 | 7 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 | 0 | 0 | 5 | 6:12 | 0 |
| 19 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:20 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| 20 | 10 | 0 | 3 | 7 | 6:18 | 3 | 0 | 1 | 4 | 5:11 | 1 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |

# ყველი და ფრედი

## ალერგიული ლიუნგბერგი ისტორიაში ლეგინებით შევიდა



**ფრედი ლუნგბერგი** შვედური ფეხბურთის ისტორიაში საგანგებო სტატუსით შევიდა — იგი შეიქნა პირველი ფეხბურთელი, ვინც ზედიზედ მეორედ აღიარეს წლის საუკეთესოდ, მაგრამ ვაი ამ აღიარებას: სტოკჰოლმში, ლუნგბერგის დაჯილდოების ელიტარულ ცერემონიალზე მთავარმა გმირმა შეცდომით ყველის ნაჭერი შეჭამა და იქვე, ურნაში აერია გული. „არსენალის" ვარსკვლავმა მოახერხა და გაოცებისგან პირდაღებულ პერსონალს სასწრაფო დახმარების გამოძახება სთხოვა, რათა 40 წუთში რამენაირად საავადმყოფოში მოხვედრილიყო. პერსონალმა, ბუნებრივია სასწრაფო გამოიძახა და ლიუნგბერგს საავადმყოფოში უწამლეს, რის მერეც მან თავი კარგად იგრძნო და შვედეთის ნაკრებთან ერთად საფრანგეთს გაემგზავრა კოტ დივუართან ამხანაგური მატჩში სათამაშოდ, მაგრამ საუბედუროდ, შეტევა, თან გაცილებით ძლიერი, საფრანგეთშიც გაუმეორდა. ლიუნგბერგს საშინლად ასტკივდა თავი და მხედველობაც დაკარგა. თანაგუნდელებმა ოთახი ჩაუბნელეს, შემდეგ კი მუქშუშებიან მანქანაში ჩასვეს და ლონდონში გადააფრინეს, სადაც „არსენალის" ექიმებმა უმკურნალეს.

ახლა, ამბობენ, რომ ლიუნგბერგი კარგად არის, თუმცა „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი გადაჭრით ვერ ამბობს, ათამაშებს თუ არა „ნიუკასლ იუნაიტედის" წინააღმდეგ.

„ფრედის თამაშის ძალა შესწევს, მან ტელეფონით თავად მითხრა ამის შესახებ, თუმცა დღეს გადაჭრით რაიმეს თქმას მოვერიდებოდი" — განაცხადა ვენგერმა.

ჟურნალისტები ლუნგბერგსაც შეეხმიანენ.

„საშინლად ალერგიული ვარ. ყველზე ყოველთვის ძალიან ცუდად ვხდები. შვედეთის ნაკრებში თამაში მეტისმეტად მინდოდა, მაგრამ თვალში ვერ ვიყურებოდი" — უპასუხა შვედმა, ჟურნალისტებმა კი კომენტარი ექიმ კით ჰოპკრაფტს ჰკითხეს, რომელმაც განმარტა, რომ ყველაფერი ტირამინის ბრალია, რომელიც დიდი დოზით არის ყველში, შოკოლადსა და ციტრუსებში. ამ ნივთიერების მიმართ ალერგიულ ადამიანებს ტვინში სისხლძარღვები სწრაფად უვიწროვდებათ, რაც მხედველობის დაბნელებას და გრძნობელობის დაკარგვას იწვევს, შემდეგ კი ძარღვები ისევ ფართოვდება, რაც ძლიერ თავის ტკივილთან არის დაკავშირებული.

**პაპუნა ძედია**

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჩელსი | : | ვესტ ჰემი |
| ევერტონი | : | ბოლტონი |
| სიტი | : | ფულემი |
| მიდლსბრო | : | ლივერპული |
| პორტსმუთი | : | უოტფორდი |
| რედინგი | : | ჩარლტონი |
| შეფილდი | : | მანჩესტერი |
| არსენალი | : | ნიუკასლი |
| **ხვალ** | | |
| უიგანი | : | ასტონ ვილა |
| ბლექბერნი | : | ტოტენჰემი |

## ინგლისი

# მანჩესტერ მრისხანე

## იყავი ფორმაში და ისიამოვნე თამაშით

**„მანჩესტერ იუნაიტედი"** ამ სეზონში ძველ, მრისხანე „წითელ ეშმაკებს" გვაგონებს და ცხრილის სათავეშიც ლოგიკურადაა მოქცეული. სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდები აპირებენ, „ჩელსის" სერიოზული კონკურენცია გაუწიონ და პოზიციის განმტკიცებას „შეფილდ იუნაიტედთან" გასვლით მატჩში ეცდებიან.

„ბრწყინვალე ფორმაში ვართ და თამაშისგან სიამოვნებას ვიღებთ. როცა ჩვეულად სწრაფი პასებით ვთამაშობთ და ბევრს ვმოძრაობთ, ჩვენი შეჩერება ძალიან ძნელია, თუმცა მომავალ ორ თვეში 16 მატჩი გველის, მათ შორის „ჩელსისთან", „ევერტონთან", „მიდლსბროსთან" და „მანჩესტერ სიტისთან" რთული შეხვედრები. გადამწყვეტი ალბათ სწორედ ეს პერიოდი იქნება" — აღნიშნა მანჩესტერელთა მცველმა გარი ნევილმა.

„ჩელსის" კი საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზე" ლონდონური დერბი ელის „ვესტ ჰემთან". „ჩაქუჩები" ჯერჯერობით კრიზისიდან ვერ გამოდიან, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან სხვანაირი შემართებით რომ ითამაშებენ, თქმაც არ უნდა.

„ამ სეზონში „მანჩესტერი" და „არსენალი" ისევე ბრწყინვალედ თამაშობენ, როგორც „ჩელსი", თუმცა „ჩელსისთვის" ქულების ართმევა გაცილებით ძნელი იქნება. როგორ გინდა, ჟოზე მაურინიუს გუნდს სუსტი წერტილი უპოვო... მაგრამ მინდორზე წასაგებად როდი გავდივართ, რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ" — თქვა „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა ალან პერდიუმ.



რაფაელ ბენიტესს და სტივენ ჯერარდს უკვირთ, თუ რატომ ვერ იგებს სტუმრად „ლივერპული"

„არსენალი" „ნიუკასლს" მასპინძლობს და მორიგი გამარჯვებისთვის ემზადება. თუ „კაჭკაჭებმა" წააგეს, რისი შანსიც დიდია, მათი მწვრთნელი გლენ როიდერი შესაძლოა, პოსტს უმალვე დაემშვიდობოს. მის მოხსნაზე უკვე დიდი ხანია, საუბრობენ. „ჯორდებს" კვლავ არ ეყოლებათ ორი წამყვანი ფორვარდი, შოლა ამეობი და მაიკლ ოუენი.

„ყველას ვაჩვენეთ, რომ „არსენალი" ისევ უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობს. განსაკუთრებით ძლიერნი თავდასხმაში ვართ, თუმც ძალიან მნიშვნელოვანია, პირველი გოლი გავიტანოთ, რადგან თუ თავიდან გავუშვით, მერე ყველა გუნდი დაცვაში იკეტება და სასურველი შედეგის მიღწევა გვიჭირს ხოლმე" — განაცხადა „მეთოფეთა" მცველმა უილიამ გალასმა.

„ლივერპული" კი, რომელიც მიმდინარე სეზონში სტუმრად ძალიან ცუდად თამაშობს, „მიდლსბროსთან" შეხვედრაში ამ უსიამოვნო ტენდენციის დარღვევას აპირებს. მერსისაიდელები ლიდერს უკვე 14 ქულით ჩამორჩებიან და თუ ასე გააგრძელეს, ოთხეულიც სათუო გაუხდებათ.

„წინა შეხვედრაზე არ უნდა ვიფიქროთ და არც სხვა გუნდებზე. მთლიანად ჩვენს თამაშზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება და მჯერა, როგორც კი გასვლით მატჩს მოვიგებთ, ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც დავძლევთ" — განაცხადა „ლივერპულის" თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა.

**კოკი კანდელაკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | 0:1 | | | 3:0 | | | 2:0 | 5:1 | | 1:0 | | | | | | 2:0 | | | 12 | 10 | 1 | 1 | 27:5 | 31 | 5 | 0 | 1 | 13:2 | 15 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| 2 | ჩელსი | | | | 1:1 | | 2:1 | | | 1:0 | | | | | 3:0 | | | | | 4:0 | 2:1 | 12 | 9 | 1 | 2 | 22:7 | 28 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| 3 | არსენალი | | | | 1:1 | | | 1:1 | | 3:0 | | | | 1:1 | | | | 3:0 | | 3:0 | | 11 | 6 | 3 | 2 | 19:6 | 21 | 3 | 3 | 0 | 12:3 | 12 | 3 | 0 | 2 | 7:3 | 9 |
| 4 | ასტონ ვილა | | | | | | | | | | 1:1 | 2:1 | 1:1 | | | 2:0 | | | 2:0 | | 2:0 | 12 | 5 | 6 | 1 | 15:9 | 21 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 14 | 1 | 4 | 1 | 5:6 | 7 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | | | | | | | 0:1 | 2:0 | | | 2:0 | 0:0 | | | | | | 1:0 | | 12 | 6 | 3 | 3 | 12:11 | 21 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 | 3 | 2 | 1 | 7:6 | 11 |
| 6 | პორტსმუთი | | | | | 0:1 | | | 1:0 | | 1:1 | 3:1 | | | | 3:0 | 2:0 | | | | | 12 | 6 | 2 | 4 | 17:10 | 20 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| 7 | ევერტონი | | | | 0:1 | | | | 2:2 | 3:0 | | | | | 1:1 | | | 2:0 | | 2:1 | | 12 | 4 | 5 | 3 | 16:11 | 17 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 | 1 | 3 | 2 | 6:6 | 6 |
| 8 | უიგანი | 1:3 | | | | | | | | | | 1:0 | | | 4:0 | | | | | 1:1 | 3:2 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | 17 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| 9 | ლივერპული | | | | 3:1 | | | | | | | 2:0 | 3:0 | | | 1:1 | 2:1 | | 2:0 | | | 12 | 5 | 2 | 5 | 14:15 | 17 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 | 0 | 1 | 5 | 1:12 | 1 |
| 10 | ფულემი | | 0:2 | | | 1:1 | | 1:0 | 0:1 | | | | | | | | | 1:0 | | | 2:1 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:16 | 17 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 | 1 | 4 | 1 | 8:11 | 7 |
| 11 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 0:4 | | | | | | | | | 3:1 | 3:2 | 1:0 | | | | | | | 12 | 5 | 1 | 6 | 13:18 | 16 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| 12 | ტოტენჰემი | | 2:1 | | | | 2:1 | 0:2 | | | 0:0 | | | | | | 1:0 | 2:0 | | | | 12 | 4 | 3 | 5 | 9:14 | 15 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 13 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |
| 13 | მიდლსბრო | | 2:1 | | | | 0:4 | 2:1 | | | | | | | | 0:1 | 1:0 | | 1:0 | | | 12 | 4 | 2 | 6 | 10:16 | 14 | 4 | 0 | 2 | 6:7 | 12 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 2 |
| 14 | სიტი | | | 1:0 | | | 0:0 | | | | | | | 1:0 | | | 2:0 | 0:0 | 0:0 | | | 12 | 3 | 4 | 5 | 7:14 | 13 | 3 | 3 | 0 | 4:0 | 12 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |
| 15 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | | | 0:1 | | 1:1 | 2:1 | | | | | | 4:2 | | | | | | | 12 | 3 | 3 | 6 | 10:16 | 12 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| 16 | ვესტ ჰემი | | | 1:0 | 1:1 | | | | | | | 0:1 | | | | 2:1 | | | 0:2 | | 3:1 | 12 | 3 | 2 | 7 | 9:15 | 11 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 | 0 | 1 | 5 | 2:9 | 1 |
| 17 | შეფილდი | | 0:2 | | | 2:2 | | | | 1:1 | | 1:2 | | 2:1 | | 0:0 | | | | | | 12 | 2 | 4 | 6 | 7:16 | 10 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 | 1 | 1 | 4 | 1:8 | 4 |
| 18 | ნიუკასლი | | | | | 1:2 | | 1:1 | 2:1 | | 1:2 | | | | | | | 0:1 | | | 0:0 | 12 | 2 | 3 | 7 | 7:14 | 9 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| 19 | უოტფორდი | 1:2 | | | 0:0 | | | | | | 3:3 | | 0:0 | 2:0 | | | 1:1 | | | | | 12 | 1 | 6 | 5 | 9:17 | 9 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 | 0 | 2 | 4 | 2:11 | 2 |
| 20 | ჩარლტონი | 0:3 | | 1:2 | | 2:0 | 0:1 | | | | | | | | 1:0 | | | | | 0:0 | | 12 | 2 | 2 | 8 | 9:18 | 8 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 | 0 | 1 | 5 | 5:12 | 1 |

# ნუთუ პოლმა ტერის შეაგინა?

## ფაქოფობანა უაით ჰართ ლეინზე

...მას მერე, ინგლისში ერთი ტური გავიდა და აგერ მეორე მოადგათ კარს, მაგრამ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მიერ „ჩელსის“ დამარცხების ამბავი, ვერა და ვერ მიეცა დავიწყებას. მიზეზი: მსაჯი გრემ პოლი, რომელმაც „ლურჯების“ თქმით, მათ თამაშის დასაწყისშივე განუცხადა, თავს ძალიან გაგივიდათ და ერთი კარგი ჭკუის სწავლება გჭირდებათო. ამის მერე, თამაშის მსვლელობისას პოლი თითქოს საკვანძო მომენტებში „სფურზის“ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებდა, ცეცხლზე ნავთი კი „ჩელსის“ მცველმა ეშლი კოულმა დაასხა, რომელმაც მეორე დღეს მსაჯი პოლი ინგლისის ყველა გაზეთში გამოთათხა.

და აი, იმ თამაშის ახალი შტრიხი: ჯონ ტერი ამბობს, რომ იმ დღეს, ფიცხელი მატჩის დროს მსაჯმა „ფაქ ოფ“ უთხრა, რაც ქართულ ჟარგონში დამკვიდრებული რუსული გამოთქმის „იდი ნა ხ...“-ს ბიძაშვილია. თურმე, როდესაც პოლმა ტერის წითელი ბარათი აუფრიალა და ტერი, როგორც ხშირად ხდება, პროტესტით მივარდა, მსაჯმა „ფაქ ოფ“ ეხლა აქედანო, უთხრა.

ეს ამბავი ტერიმ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მოყვა, სადაც იმიტომ დაიბარეს, რომ თავად დაიბნენ: პოლმა თურმე, ტერის გაძევების ორი სხვადასხვა მიზეზი მოიტანა, ასე რომ, დამატებითი ინფორმაცია გახდა საჭირო. აღსანიშნავია, რომ ტერი, ისევე როგორც ფრენკ ლამპარდი და ეშლი კოული, ფეხბურთის ასოციაციაში მისვლამდე „ჩელსის“ ადვოკატ ჯიმ სტიდმენს შეხვდნენ და მასთან კონსულტაციის შემდეგ გაემართნენ სოჰო სკვერზე მდებარე ოფისში. როგორც ინგლისურ საფეხბურთო საქმეებში ღრმად ჩახედული ჟურნალისტები წერენ, თუ ეს „ფაქოფობანა“ დამტკიცდა, როგორც მსაჯს, ასევე ფეხბურთელს „კარგი დღე“ დაუდგებათ.

შეგახსენებთ, რომ ხსენებული თამაშის შემდგომ ტურში, „ევერტონისა“ და „არსენალის“ შეხვედრაში, გრემ პოლმა ევერტონელი ჯეიმს მაკფადენი გააძევა. მიზეზი: შემაგინაო. არადა, მაკფადენი აცხადებს, რომ მსაჯისთვის არაფერი უკადრებია, უბრალოდ, თავისთვის ჩაიბურტყუნა ცუდი სიტყვები — შეგვიძლია ეს ისტორიაც ზუსტად შეგახსენოთ, მაგრამ ვშიშობთ, რომ მეტისმეტი გამოგვივა.

გრემ პოლმა მთელი ამ ორომტრიალის კომენტირებაზე უარი განაცხადა.

**პაპუნა ძედია**



# იტალია

## მილანური დარდი: ვაი, რა შორს წახვედი



„რეჯინასთან“ დისკვალიფიცირებული ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მარჯვნივ) ვერ ითამაშებს

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | : | მილანი |
| კალიარი | : | პალერმო |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | ფიორენტინა |
| კიევო | : | ატალანტა |
| ლივორნო | : | პარმა |
| ინტერი | : | რეჯინა |
| მესინა | : | ლაციო |
| რომა | : | კატანია |
| უდინეზე | : | სიენა |
| ტორინო | : | სამპდორია |

**სერია A-ს** ლიდერი „ინტერი“ აუტსაიდერ „რეჯინას“ მასპინძლობს. მათ შორის 27 ქულიანი უფსკრულია და ეს ყველაფერი წესით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „სან სიროზე“ დანიშნული ამ თამაშის მოგებული ამთავითვე ცნობილია, მაგრამ მოდი კალჩოპოლის ნუ დავივიწყებთ. კერძოდ, იმის თქმა გვინდა, რომ „რეჯინას“ გასწვრივ ცხრილში ნული ქულა რომ წერია, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ რეჯოკალაბრიელებმა თერთმეტივე ტურში წააგეს. არა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კალჩოპოლით მისჯილი მინუს 15 ქულა ჰქონდათ გამოსასწორებელი და ეს რომ არა, დღეს მე-8 ადგილზე იქნებოდნენ.

„ინტერის“ შეტევაში დღეს არ იქნება ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელიც წინა ტურში „პარმასთან“ მატჩში მოედნიდან გააძევეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერნან კრესპოს მხარდამხარ ითამაშებს ხულიო კრუზი, ფეხბურთელი, რომელმაც ბოლო პერიოდში „შავლურჯების“ საქმეთა გამოსწორებაში დიდი როლი ითამაშა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დუგლას მაიკონის მაგივრად შეიძლება დეიან სტანკოვიჩი დაუბრუნდეს მოედანს, ხოლო ხავიერ ძანეტი სავარაუდოდ, თავის ჩვეულ ამპლუაში, მარჯვენა მცველის ადგილზე მოგვევლინება.

სარდინიაზე, კალიარიში, დღეს სიცილიელები, პალერმოელები ჩადიან. ადრე ეს თამაში მხოლოდ იმით იქნებოდა საინტერესო, რომ იტალიის ერთი დიდი კუნძულის გუნდი მეორეზე ჩადის, მაგრამ ახლა სხვა სურათია, სერია **A**-ს მეორე ლიდერი მიმდინარე სეზონის ფრეთა სპეციალისტთან თამაშობს. დიახ, „კალიარის“ ფრეები მართლაც შთამბეჭდავია — ჩახედეთ ცხრილს, თერთმეტი მატჩიდან რვა ფრე. ამას მართლაც მოხერხება უნდა. იტალიელი ჟურნალისტები გვირჩევენ, ამ შეხვედრაში ყურადღება „კალიარის“ ფეხბურთელ დანიელე კონტის მივაქციოთ. სწორედ მან გაუთანაბრა წინა ტურში „მესინას“ მაშინ, როდესაც საფინალო სასტვენამდე წამებილა რჩებოდა. და, ფრეების გახსენებაზე... შარშანდელი „კალიარი“ — „პალერმო“ 1:1 დამთავრდა.

მესამეზე „რომაა“, რომელიც „კატანიას“ მასპინძლობს. ისე, „კატანია“ სერია **A**-ს შეჩვეული ყურისთვის უცხო ჟღერადობის დასახელებაა, თორემ მეექვსეზეა. ცნობისთვის, „კატანიაც“ სიცილიური გუნდია, თუმცა სავარაუდოდ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამარჯვების იმედი მაინც და მაინც არ უნდა ჰქონდეს. „რომას“ ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ, ლიდერებთან სხვაობის შემცირების იმედი აქვს.

„მილანი“? ანონსის წერას პირველი ადგილიდან მოვყვებით, აგერ უკვე მეთხეზე ჩავედით და „შავ-წითლებს“ კვლავ ვერ ვხედავთ. რიგში დგანან „სიენა“, „ატალანტა“, „კატანია“, „ლივორნო“, „ემპოლი“, „მესინა“... დაგვეთანხმებით, მეტად უცნაურია, მაგრამ რა გაეწყობა.

„მილანი“ დღეს, ჩვენი დროით 20 საათზე ემპოლიში თამაშობს. სერია **A**-ს ბოლო ხუთ თამაშში ნაწვნევმა ოთხმა მარცხმა ასე იცის. „შავ-წითლები“ ბოლოდან მეხუთეზე არიან. აღსანიშნავია, რომ მილანელებს ბევრი ფეხბურთელი, მათ შორის ჩვენი კახა კალაძე დაშავებული ჰყავთ, ასე რომ, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, სწორედ ამათზეა ნათქვამი. ამ შეხვედრაში იტალიელი ჟურნალისტები გვირჩევენ, ყველაზე საინტერესო ფეხბურთს კრისტიან ბროკისგან ველოდოთ.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 11 | 9 | 0 | 2 | 26:15 | 27 |
| ინტერი | 11 | 8 | 3 | 0 | 24:13 | 27 |
| რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 19:8 | 23 |
| სიენა | 11 | 4 | 5 | 2 | 12:10 | 16 |
| ატალანტა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:16 | 16 |
| კატანია | 11 | 4 | 4 | 3 | 16:17 | 16 |
| ლივორნო | 11 | 4 | 4 | 3 | 10:11 | 16 |
| ემპოლი | 11 | 3 | 6 | 2 | 11:9 | 15 |
| მესინა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:15 | 14 |
| სამპდორია | 11 | 3 | 4 | 4 | 17:16 | 13 |
| უდინეზე | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | 13 |
| ლაციო | 11 | 4 | 3 | 4 | 15:10 | 12 |
| კალიარი | 11 | 1 | 8 | 2 | 10:11 | 11 |
| პარმა | 11 | 2 | 2 | 7 | 12:22 | 8 |
| ტორინო | 11 | 1 | 5 | 5 | 6:16 | 8 |
| მილანი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:12 | 7 |
| ასკოლი | 11 | 0 | 4 | 7 | 5:15 | 4 |
| ფიორენტინა | 11 | 6 | 0 | 5 | 18:13 | 3 |
| კიევო | 11 | 0 | 3 | 8 | 7:17 | 3 |
| რეჯინა | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 0 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიბკა: აკვარიუმი სეზონის ბოლომდე



**უკრაინის** ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა კიევის „დინამოს" მეკარე ალექსანდრ რიბკა სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაციით დასაჯა. ასეთივე სასჯელი მიიღო კიევის ცსკა-ს დუბლიორთა გუნდის მწვრთნელმა იური მაქსიმოვმა.

